KA030176650689418

№ 01-4701/ს **07 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ანალიტიკის, ადამიანური
რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი), შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით, 2009 წლიდან ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, მიმდინარე წლის 11-16 ნოემბერს ქ. სტოქჰოლმში (შვედეთი) მიწვეული ვარ სამუშაო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად.

ვიზიტის მიზანია, მონაწილეებისთვის ადამიანური რესურსების მართვის სფეროში შვედეთის გამოცდილების გაზიარება.

ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯებს (მგზავრობა, განთავსება) ანაზღაურებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ჩემთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 11 ნოებრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია